პროექტი

# საქართველოს კანონი

## „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე

**მუხლის 1.** „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №3, 2005, მუხ. 16) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. მე-19 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) მონაწილეობს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის ან მისი კომიტეტის მიერ მისი განცხადების განხილვაში.“.

2. მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) პირს, რომლის მიმართ რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიამ ან მისმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ქონებრივი რესტიტუციის, ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონების დაბრუნების ან ქონებრივი ზიანის კომპენსაციის შესახებ.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი — მიხეილ სააკაშვილი